საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა

„24" 08 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 52

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრში - „საქპატენტში" ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამული უზრუნველყოფის (IPEFS) სისტემაში, სასაქონლო ნიშნის და დიზაინის რეგისტრაციაზე და ნაწარმოების ან/და მონაცემთა ბაზის დეპონირებაზე განაცხადის შეტანისას ელექტრონულად წარმოსადგენი მონაცემთა ერთობლიობის (ფაილის) ფორმატის და მოცულობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „თ" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს თანდართული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამული უზრუნველყოფის (IPEFS) სისტემაში, სასაქონლო ნიშნის და დიზაინის რეგისტრაციაზე და ნაწარმოების ან/და მონაცემთა ბაზის დეპონირებაზე განაცხადის შეტანისას, ელექტრონულად წარმოსადგენი მონაცემთა ერთობლიობის (ფაილის) ფორმატი და მოცულობა დანართი N1-ის შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში თუ წარმოსადგენი ფაილის ფორმატი ან/და მოცულობა არ არის მითითებული ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართ N1-ში, ფაილი

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ფაქსი: (+995 32) 2252531
0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4; ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.gov.ge

წარმოდგენილ უნდა იქნეს მისაღები ფაილის ფორმატით, ხოლო დიდი მოცულობის ფაილები, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვებს, შემცირებულ უნდა იქნეს (შეიკუმშოს) შესაბამის მოცულობამდე ან დაიყოს ნაწილებად, რომ დააკმაყოფილოს ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები.

3. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს უზრუნველყოს ამ ბრძანებით დადგენილი პირობების განთავსება საქპატენტის ვებგვერდზე (www.sakpatenti.gov.ge);

4. ეს ბრძანება ძალაშია ოფიციალური გაცნობისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17)

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	ნიკოლოზ გოგილიძე

ეგზავნება: ადმინისტრაციულ დეპარტამენტს და ფინანსურ და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს.

დანართი N1

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამული უზრუნველყოფის (IPEFS) სისტემაში, სასაქონლო ნიშნის და დიზაინის რეგისტრაციაზე და ნაწარმოების ან/და მონაცემთა ბაზის დეპონირებაზე განაცხადის შეტანისას, ელექტრონულად წარმოსადგენი მონაცემთა ერთობლიობის (ფაილის) ფორმატი და მოცულობა

ფაილის ფორმატი	ფაილის მაქსიმალური მოცულობა
.db, .mdb, .xls	100მბ
.jpg, .jpeg	5მბ
.mp3	10მბ
.m4v, .mpg, .mp4, .mkv	1024მბ
.pdf	20მბ
.zip, .rar	500მბ

* შენიშვნა: წვრილი ფაილების მარტივად ატვირთვის მიზნით შესაძლებელია ფაილების დაჯგუფება და დაარქივება.